თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №13

თბილისი, 3 ნოემბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 3 ნოემბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 16:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 16:03 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. კომისიის მიერ წინა სხდომებზე განხილულ საკითხებზე უწყებების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა.
3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 25 ოქტომბრიდან პირველი ნოემბრის ჩათვლით მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისია საქმიანობას გააგრძელებს ცესკო-ს მიერ შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე.

წინა სხდომებზე განხილულ საკითხებზე უწყებების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების კუთხით ისაუბრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა. ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილი შეეხო კომისიის წინა სხდომაზე განხილულ სოფელ ბერშუეთის საკითხს (სოფელ ბერშუეთის მცხოვრებთათვის წყლის მიწოდების შეწყვეტა დავალიანების დაფარვის მიზნით) და აღნიშნა, რომ ბერშუეთის მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალური ჭაბურღილის მეშვეობით. მისი თქმით, როდესაც სოფლებში მუნიციპალიტეტი აკეთებს ჭაბურღილს ლოკალურად, წყალმომარაგების ოპერირებას ახორციელებს მუნიციპალური არასამთავრობო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც წყლის მიწოდების საფასურს არ იღებს. შესაბამისად, მოსახლეობა წყლის გადასახადს არ იხდის და იხდის მხოლოდ ჭაბურღილის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერგიის გადასახადს, რომლის გარეშეც ჭაბურღილი ვერ იმუშავებს. ასე რომ, მოსახლეობა წლების განმავლობაში ამ პრინციპით სარგებლობს ამგვარი ჭაბურღილით. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ბერშუეთის მოსახლეობას გარკვეული დროის განმავლობაში ზემოხსენებული გადასახადი (ელექტროენერგიის) არ გადაუხდია, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ ჭაბურღილისთვის ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყვეტილა და მოსახლეობას თვეების განმავლობაში მიეწოდებოდა სასმელი წყალი. 230 აბონენტის ჭაბურღილზე ელექტროენერგიის დავალიანებამ 4 თვის განმავლობაში შეადგინა 10 700-მდე ლარი. სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოითხოვა გადასახადის გადახდა და შეუწყვიტა ჭაბურღილს ელექტროენერგიის მიწოდება, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების შეჩერება. სოფელ ბერშუეთის მოსახლეობამ დახმარების მიზნით ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა დავალიანების გადაუხდელობის გამო წყლის მიწოდების შეჩერების შემდგომ. როგორც მუნიციპალიტეტი განმარტავს, მოსახლეობას და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" შორის ცალკე ურთიერთობა იყო (ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ნაწილში). მუნიციპალიტეტი მოსახლეობის მიმართვის შემდეგ ჩაერთო საკითხში და კომპანიასთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ დავალიანების განწილვადებაზე, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა პირველ ეტაპზე დავალიანების 35%-ს გადაიხდის, დანარჩენი თანხა კი განაწილდება ორ თვეზე. რაც შეეხება სასმელი წყლის მიწოდებას, იგი უკვე აღდგენილია და სოფლის მცხოვრებთ მიეწოდება ჩვეულ რეჟიმში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა მოსყიდვა და მსგავსი ფაქტები არ დასტურდება. ასეთი შემთხვევა სხვა სოფლებშიც იყო.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვისას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, ისაუბრა ანი წითლიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე (ზუგდიდში საარჩევნო კამპანიას რეალურად ატარებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ადგილობრივ კრიმინალებთან შეთანხმებით იციან, რომელ უბანში რიგდება ნარკოტიკული საშუალებები) და განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან კომუნიკაცია შედგა ქალბატონ ანასთან კონკრეტული ინფორმაციის მიღების მიზნით, რამდენადაც მისი განცხადება ატარებდა ზოგად ხასიათს. სამწუხაროდ, მან არ ისურვა პოლიციაში გამოცხადება და ინფორმაციის დაზუსტება, რაზეც შესაბამისი ოქმია შედგენილი. აღსანიშნავია, რომ თუკი მისი მხრიდან არ დაზუსტდება ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლებულია რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

თბილისის 119-ე საჯარო სკოლის დირექტორ თეა ბრეგვაძისთვის უფლებამოსილების თითქოსდა პოლიტიკური შეხედულებების გამო შეწყვეტასთან დაკავშირებით ისაუბრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ. ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა წარმოადგინა სამინისტროს მიერ საკუთარ ვებგვერდზე გაკეთებული განცხადება, სადაც უარყოფილია ქალბატონი თეა ბრეგვაძის გათავისუფლება პოლიტიკური მოტივით. ქალბატონი თამარის განმარტებით, ბრეგვაძე არასოდეს ყოფილა დირექტორი – იყო დირექტორის მოადგილე და დროებით ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. სკოლის დირექტორ პაატა რაზმაძეს 2020 წლის 8 სექტემბერს ამოეწურა სამეურვეო საბჭოსთან დადებული შრომითი ხელშეკრულების 6-წლიანი ვადა, რის შემდეგ დირექტორის მოვალეობის შესრულება გააგრძელა დირექტორის მოადგილე თეა ბრეგვაძემ როგორც დირექტორის არყოფნის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულმა პირმა.

სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს ქალაქ თბილისის 119-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა თამარ თაბუაშვილი. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, დირექტორის არჩევა ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რაზეც ინფორმირებული იყო ქალბატონი თეა ბრეგვაძე.

ამდენად, ქალბატონი თეა ბრეგვაძის მიერ პოლიტიკური ნიშნით სპეკულაცია მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. ასევე, კატეგორიულად მიუღებელია განათლების სისტემაში მომუშავე პირის მხრიდან სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის ხელშეშლა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა პოლიტიკურ იარაღად გამოყენება.

მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (ზუგდიდში დევნილებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევა) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ დაწყებულია გამოძიება სსკ 162-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას. გამოძიებას საფუძვლად დაედო სატელეფონო შეტყობინება, რომლის თანახმადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერმა მოქალაქეს უკანონოდ ჩამოართვა პირადობის მოწმობა. უკვე გამოიკითხნენ მოწმეები, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას მოცემული გარემოებების შესახებ, გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები და სამინისტრო შედეგებს აცნობებს საზოგადოებას, როგორც კი რაიმე ხელშესახები გამოიკვეთება. ამ ეტაპზე გამოძიება აქტიურ პროცესშია.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცესკო-ს წარმომადგენელი) მედიამონიტორინგით გამოვლენილ მომდევნო საკითხზე (სენაკში საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების მიერ თანამდებობების დატოვება, რომლებიც ფარულ ჩანაწერში აღიარებენ, რომ მათი გადაწყვეტილება იძულებითი იყო) საუბრისას აღნიშნა, რომ საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს აკრძალვას საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მიმართ, რომ თითქოს ისინი არ შეიძლება ამავდროულად დასაქმებული იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიებში. ბატონი გიორგის თქმით, შესაბამისი დათქმაც არის საარჩევნო კოდექსში, რომლის თანახმადაც საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს შეიძლება მიეცეთ როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი შვებულება საკუთარი სურვილისამებრ. ასე რომ, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად დასაქმება, ბუნებრივია, არ არის დარღვევა, ისევე, როგორც არ არის დარღვევა სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების დასაქმება საუბნო საარჩევნო

კომისიებში; მაგალითად, აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირის სენაკის მუნიციპალიტეტში არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიაში დასაქმება. რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების მიერ განცხადებების დაწერას, უნდა ითქვას, რომ ამგვარი განცხადებების რაოდენობა არ იყო ბევრი და საუბარია რამდენიმე თავმჯდომარეზე, მოადგილესა და მდივანზე. მსგავსი შემთხვევები ყოველთვის არის და, ბუნებრივია, შესაბამის მიზეზებსაც აქვს ადგილი, როდესაც ხელმძღვანელი პირები საკუთარი სურვილისამებრ განცხადებით მიმართავენ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს გადადგომის შესახებ. აღსანიშნავია, რომ რაიმე იძულება ან ძალდატანება ზემოხსენებულ შემთხვევაში გამოკვეთილი არ ყოფილა და ამ მხრივ სენაკის საუბნო საარჩევნო კომისიებთან მიმართებით რაიმე კანონსაწინააღმდეგო ფაქტი დადასტურებული არ არის.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა – საარჩევნო ადმინისტრაციისთვის რამდენად მისაღებია საჯარო მოსამსახურის ჩართვა კომისიის საქმიანობაში და აქვთ თუ არა მიმდინარე არჩევნებზე მსგავსი შემთხვევების სტატისტიკა.

ბატონი გიორგი სანტურიანის საპასუხო განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაციას არ აქვს საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა სტატისტიკა. რაც შეეხება ამ მოვლენის მისაღებობას, ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ზოგიერთი კონკურსანტი (კომისიის 8 წევრი ირჩევა კონკურსის საფუძველზე) ამავდროულად იყოს საჯარო მოხელე, და რამდენადაც საჯარო მოხელის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დასაქმებას არც კანონმდებლობა კრძალავს, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ეს საკითხი პრობლემურად არ არის იდენტიფიცირებული.

შემდეგ საკითხთან (ანა წითლიძის განცხადება – ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემის მქონე მოქალაქე ხ.ჯ-თვის მკურნალობის დაფინანსება პირადობის მოწმობების გადაცემის შემთხვევაში) დაკავშირებით ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ, როგორც მისთვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგანაა ცნობილი, სამედიცინო პროგრამები წინასწარაა გაწერილი გათვალისწინებული კრიტერიუმებით და ამ კრიტერიუმებს თუ არ აკმაყოფილებს მოქალაქე, ამ შემთხვევაში შეუძლებელია, სახელმწიფომ რაიმე ტიპის დაფინანსება გასცეს. რაც შეეხება უშუალოდ ზემოაღნიშნულ ფაქტს, ამ შემთხვევაშიც შედგა კომუნიკაცია ქალბატონ ანა წითლიძესთან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მაგრამ მან კვლავ უარი განაცხადა პოლიციაში გამოცხადებაზე, რაზეც შესაბამისი ოქმი გაფორმდა. ბატონი ალექსანდრე შეეხო ამავე ინფორმაციის ნაწილსაც, სადაც ანალოგიური შემთხვევის ადგილზე „მთავარმა არხმა“ საპატრულო პოლიცია გამოიძახა, მაგრამ პოლიცია მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, რაც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ პასპორტებიანად დატოვა ტერიტორია. მისი თქმით, ამ შემთხვევაზეც შესაბამისი მოქმედებებია დაწყებული; კერძოდ, დაიწყო გამოძიება „მთავარი არხის“ ჟურნალისტ ე.გ-ს მიერ მოქალაქე ნ.ლ-ს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, სსკ 118-ე მუხლით. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი შეტყობინება აქვს მიღებული სენაკში მდებარე შპს „არქიმედეს“ კლინიკიდან, სადაც შეყვანილი იყო პაციენტი ნ. ლ, რომელსაც აქვს თითის მოტეხილობა. საქმეზე აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება, გამოკითხული არიან მოწმეები და ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ელოდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგებს.

არჩევნების დღეს სენაკის სამხედრო ბაზაზე ზუგდიდელი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეების დატოვების თაობაზე ანა წითლიძის ინფორმაციაზე ისაუბრა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. ბატონი გიორგი ციცაგის განმარტებით, წითლიძის განცხადება ატარებდა პოლიტიკურ დატვირთვას და არანაირი მტკიცებულებით არ იყო გამყარებული, თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ თავდაცვის სამინისტრო არ დაინტერესდეს ამ ინფორმაციით და არ გაარკვიოს რეალობა. ბატონი გიორგის თქმით, სამინისტრო კომისიის მომავალ სხდომაზე წარმოადგენს კონკრეტულ ინფორმაციას.

მომდევნო საკითხზე (ა. ჯ-ს დაკავება და იარაღის ჩადება) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ გამოძიება დაწყებულია იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე. გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, ჩატარდა ჩხრეკა და ზემოხსენებულ პირს აღმოაჩნდა პისტოლეტი მასში მოთავსებული 7 ვაზნით. შესაბამისად, იგი ადგილზევე იქნა დაკავებული და წარედგინა ბრალი სსკ 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით. გამოძიება გრძელდება; დაკავებული იმყოფება წინასწარი პატიმრობის პირობებში და სამინისტრო ელოდება სასამართლო განხილვის შედეგებს. ბატონი ალექსანდრეს თქმით, თუ დაკავებული პირის მხარეს რაიმე ჩივილები აქვს პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების კუთხით, შეუძლია, მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

ბატონი თორნიკე დაინტერესდა – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში იყო თუ არა შესული ვინმესგან მიმართვა ზემოხსენებული პირის დაკავებასთან დაკავშირებით.

ბატონი გიორგი გამეზარდაშვილის (სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე) საპასუხო განცხადების თანახმად, ამ საკითხთან დაკავშირებით მათ უწყებაში განცხადება არ შესულა. მისი თქმით, გავრცელებულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტი არ შეიცავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულს.

ქუთაისში ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (ავტომშენებლის ქუჩაზე სპეციალურ შტაბში პირადობის მოწმობის ჩაბარების სანაცვლოდ 50 ლარის დარიგება, კარუსელების დატრიალება) გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, განაცხადა, რომ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 29 ოქტომბერს. ამ ეტაპზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. პროკურატურამ, ასევე, მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს სიუჟეტში ინტერვიუს მიმცემი პირების იდენტიფიცირებისა და მათი გამოკითხვის მიზნით. რაიმე ფაქტი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის.

შემდეგ საკითხზე (დარღვევები პანკისის ხეობაში – სოფელ დუისში „ქართული ოცნების“ შტაბის უფროს გურამ ხანგოშვილს ხმის მიცემა მისი საზღვარგარეთ წასული სიძის პირადობის მოწმობით სურდა) ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოხსენებულ პიროვნებას ხმა სხვა პიროვნების სახელით ნამდვილად არ მიუცია – როგორც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აღწერენ, ხანგოშვილმა შეცდომით წარადგინა სიძის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან ბეჟაშვილის მიერ გამართულ ბრიფინგს მათი პარტიის დამკვირვებლებისთვის ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების აკრძალვასთან დაკავშირებით, ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში უკვე იხილავდნენ საჩივრებს (კენჭისყრის დღეს და შემდგომ

პერიოდში, საერთო ჯამში, 470 საჩივარია შესული საოლქო საარჩევნო კომისიებში), მათ შორის, ინფორმაციაში მოყვანილ ფაქტებთან მიმართებითაც და დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა უწყებათაშორისი კომისიის მომდევნო სხდომაზე იქნებოდა შესაძლებელი. ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, შემთხვევების უმრავლესობა არ დასტურდება (მაგალითად, სამგორის 75-ე უბანზე ბიულეტენები არ აღმოჩენილა; სამგორის 45-ე უბანზე კენჭისყრის ოთახი ნაადრევად არ გახსნილა; ვაკის მე-60 უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში 15 ამომრჩეველი კანონდარღვევით არ შეუყვანიათ – მათ პირველ ტურშიც ისარგებლეს გადასატანი ყუთით; 42-ე უბანზე ორ პირადობის მოწმობაზე ერთი და იგივე ფოტოს არსებობა რეალურად გვარის გამოცვლით იყო გამოწვეული; ბაღდათში ორჯერ ხმის მიცემის მიზნით კოვიდუბანზე გადასატანი ყუთი არ გამოუყენებიათ; რაც ცალსახად დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით.

მომდევნო საკითხთან („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისიდან თამარ კორძაიას საგანგებო განცხადება საარჩევნო უბნებზე არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე ხმის მიცემის ფაქტზე) დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე 30 ოქტომბერს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოქალაქე ედუარდ მსტოიანი ამომრჩეველთა ერთიან ბაზაში მხოლოდ ერთი მონაცემითაა შეყვანილი. მან 22 ოქტომბერს ანა ჯიქურთან ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მიიღო მეუღლის გვარი – ჯიქური. გვარი შეცვლილია 14 სექტემბერს ცესკო-თვის საარჩევნო სიის გადაცემის შემდეგ, სიაში კი იგი ძველი სახელით და გვარით არის დაფიქსირებული. ამასთან, ახალი პირადობის ელექტრონული მოწმობის აღების შემდეგ, მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, ხსენებულ პირს ძველი პირადობის მოწმობა გაუუქმდა. ბატონი თორნიკეს თქმით, აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა თავად ზემოხსენებული მოქალაქეც და აღნიშნა, რომ შეგნებულად შეიცვალა გვარი და მედიაში გასული ინფორმაცია არის ოპოზიციური პარტიების მხრიდან სპეკულაცია. ბატონი თორნიკე დაინტერესდა და კითხვით მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეს – რამდენად ჰქონდა პერსონალური მონაცემების გამსაჯაროებელ პირს ამის უფლება. ქალბატონმა სალომე ბახსოლიანმა (სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე) აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ საქმეზე მის უწყებაში წარმოება არ მიმდინარეობს, თუმცა, არჩევნების დღეს მსგავს საკითხებზე იყო მიმართვიანობა. ქალბატონი სალომეს თქმით, არჩევნების დღესვე გააკეთა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განცხადება და განმარტა, რომ ვინაიდან არჩევნებთან მიმართებით საზოგადოებრივი ინტერესი არის მაღალი, ამ ვითარებაში პიროვნების პერსონალური მონაცემების გასაჯაროება არ წარმოადგენს კანონდარღვევას. ამასთან, მსგავსი კატეგორიის საკითხებზე ინსპექტორის სამსახურს ადმინისტრაციული წარმოება არ დაუწყია.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ საკითხზე (ქუთაისში მე-12 საარჩევნო უბანთან ამომრჩეველთა სიების დაფიქსირების შემდგომ ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, განაცხადა, რომ ხსენებული ჟურნალისტი დაბარებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოკითხვაზე. მიმდინარეობს გარკვეული გარემოებების დაზუსტება და დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში მისი უწყება დაიწყებს გამოძიებას.

მომდევნო საკითხზე (ბათუმში საარჩევნო უბნებს „ძველი ბიჭების" გარდა მერიის თანამშრომლებიც აკონტროლებენ. მერიის წარმომადგენელი ოლეგ არველაძე ამომრჩევლებს ხმის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას ურიგებს) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

წარმომადგენელმა, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ სიუჟეტში მოხსენიებული პიროვნება არ არის დასახელებული უწყების საჯარო მოხელე – იგი არის ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ამასთან, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მას არასამუშაო დროს არ ეკრძალება მონაწილეობის მიღება საარჩევნო პროცესებში. რაც შეეხება საარჩევნო უბნებთან კონტროლისა თუ ამომრჩევლებისთვის თანხის მიცემის საკითხს, დასახელებული პიროვნება ამას კატეგორიულად უარყოფს. ამასთან, ფაქტების დადასტურების ან/და უარყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიას სხვა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია.

შემდეგ საკითხზე (ე.წ. კარუსელი და ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა სენაკში. 43-ე უბანზე ხმა სპეცსიით შენობის დამლაგებელმა მისცა. საუბნო კომისიის თავმჯდომარე ტვ „პირველთან“ საუბარში ადასტურებს ინფორმაციას, რომ დამლაგებელმა ხმა 43-ე უბანზე სპეცსიით მისცა, თუმცა, როგორ აღმოჩნდა ამ სიაში პიროვნება, ამ კითხვაზე პასუხი არ გააჩნია) ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, კოვიდპანდემიის საფრხეებიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო გარკვეული პრევენციული ზომები, რომლის შესაბამისად, კენჭისყრის დღეს თითოეულ საარჩევნო უბანზე უნდა ყოფილიყო დამლაგებელი შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც უზრუნველყოფდა საარჩევნო უბანზე სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვას და კოვიდრეგულაციების კუთხით გარკვეული პრევენციული ზომების მიღებას. ამასთან, მნიშვნელოვანი იყოს ისიც, რომ საარჩევნო უბნებზე მყოფ ხსენებულ პერსონალს არ წართმეოდა ხმის მიცემის უფლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №52 დადგენილების საფუძველზე, ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეიყვანეს საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმებული ის დამლაგებლები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ბატონი გიორგის თქმით, ხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (დაპირისპირება ზუგდიდის 21-ე საარჩევნო უბანზე. პოლიციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანი წითლიძე ზუგდიდის სამმართველოში გადაიყვანა. მიზეზი საარჩევნო კომისიის წევრი თინა კაკაჩიას განცხადება გახდა, რომლის თანახმადაც, მას ბლოკნოტი მოჰპარეს. რეალურად კაკაჩიას ბლოკნოტში საჯარო მოხელეების სია ჰქონდა) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დაადასტურა, რომ ხსენებული საარჩევნო კომისიის წევრ თინა კაკაჩიას მოჰპარეს ბლოკნოტი, რომელშიც იდო თანხა 20 ლარის ოდენობით. საქმეზე დაწყებულია გამოძიება სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდობა). ბატონი ალექსანდრეს თქმით, ფაქტთან დაკავშირებით კონკრეტული პირები გამოკითხვის მიზნით გადაიყვანეს სამართალდამცავ ორგანოში. ანი წითლიძის დაკავება სიმართლეს არ შეესაბამება – მან თავად გამოთქვა სურვილი, გაჰყოლოდა პოლიციის განყოფილებაში ერთ-ერთ გამოსაკითხ პირს.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ მომდევნო საკითხთან (ფოთის №12 საარჩევნო უბანში ტვ „პირველის“ ჟურნალისტს წაართვეს მიკროფონის ატრიბუტი, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნდა. ჟურნალისტის გადმოცემით, დაპირისპირებისას მან მსუბუქი დაზიანებები მიიღო) დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწყებულია გამოძიება სსკ 154-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა). გამოძიებას საფუძვლად დაედო თავად ამ ჟურნალისტის შეტყობინება. გრძელდება გამოძიება, გამოიკითხნენ მოწმეები და შედეგების შესახებ მოგვიანებით იქნება ცნობილი.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ქუთაისის მერობის კანდიდატ ხატია დეკანოიძის განცხადებით, არჩევნების დღეს გამოვლენილმა სერიოზულმა დარღვევებმა საბოლოო შედეგზე გავლენა მოახდინა. ის კონკრეტული უბნების გადათვლას ან/და ბათილად ცნობას მოითხოვს. მისი თქმით, ქუთაისის 124-ე უბნის შედეგების დათვლის შემდეგ კანდიდატებს შორის სხვაობა 2 222 ხმაა, საერთო ბათილი ბიულეტენების რაოდენობა კი – 2 396, რაც აღემატება კანდიდატებს შორის სხვაობას. საბოლოო ოქმებში დისბალანსი 124-დან 20 უბნის ოლქში დაფიქსირდა. დეკანოიძე მოითხოვს ყველა ამ უბნის გადათვლას. მერობის კანდიდატმა ისაუბრა ქუთაისის არაერთ საარჩევნო უბნებზე მომხდარ, გადასატან ყუთებთან, კოვიდუბნებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულების საარჩევნო უბნებთან დაკავშირებულ დარღვევებზეც) ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი შინაარსის საჩივარი წარდგენილია შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ბათილ ბიულეტენებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, ამასთან, ცესკო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე არის მითითებული მონაცემები წლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის ბათილი ბიულეტენების პროცენტული რაოდენობა ნაკლებია 2014 და 2017 წლების არჩევნების მონაცემებთან შედარებით. ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, წარმოდგენილ საჩივრებში არის მითითებული მხოლოდ კონკრეტული ციფრები დასაბუთებული მტკიცებულებების გარეშე. რაც შეეხება კოვიდ- და პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილ საარჩევნო უბნებთან მიმართებით გავრცელებულ ინფორმაციას, მათ არ ჰქონდათ პროცესზე დაკვირვების საშუალება, რადგან ამ უბნებზე დამკვირვებლები არ წარუდგენიათ. რაც შეეხება გადასატან ყუთებს, კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმაოდ მყარ გარანტიებს. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, დააკვირდნენ გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას. ამასთან, ბატონი გიორგის თქმით, ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებით რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და გავრცელებული ინფორმაცია დაუსაბუთებელია და სიმართლეს არ შეეესაბამება.

მედიამინიტრინგის ბოლო საკითხზე (ხობში მე-15 და მე-16 საარჩევნო უბნებთან ფულს მოქმედი მერი დავით ბუკია არიგებდა – არსებობს ვიდეომტკიცებულებაც, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხობის მერობის კანდიდატმა ბესო შენგელიამ გაავრცელა) გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გორგი გაბიტაშვილმა, განაცხადა, რომ პროკურატურაში გამოკითხვის მიზნით დაბარებულ იქნა ბატონი ბესო შენგელია, რომელიც დღემდე არ გამოცხადებულა. ამასთან, იგეგმება ბატონ დავით ბუკიასთან გასაუბრებაც და შემდგომ მიიღება გადაწყვეტილება გამოძიების დაწყება/არდაწყების შესახებ.

ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ხობში, სოფელ საჯიჯაოში ვიზიტისას ხობის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ დავით ბუკია შეხვდა ახალი ხიბულის შტაბის ხელმძღვანელ ალექსანდრე ვეკუას, რომელმაც სთხოვა საწვავით უზრუნველყოფა, რის შემდგომაც ბატონმა დავითმა გადასცა მას თანხა. აღნიშნული საკითხის შესაძლო მოსყიდვად ინტერპრეტაციის გამო ალექსანდრე ვეკუამ „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი და დაურთო ბენზინგასამართ სადგურზე შეძენილი საწვავის დამადასტურებელი ქვითარი, რომელზეც მითითებულია საწვავის შეძენის თარიღი, დრო და თანხა. ბატონი ნიკოლოზის თქმით, სიუჟეტში გასული კადრებიც ადასტურებს, რომ თანხის გადაცემა მოხდა ხალხმრავალ ადგილზე საჯარო სივრცეში. ამასთან, მუნიციპალიტეტის განმარტებით, გავრცელებული ინფორმაცია, მით უფრო, მოსყიდვასთან მიმართებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

ბატონმა გიგი ჩიხლაძემ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) ისაუბრა ქუთაისში 90-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრ იზა ჩირგაძის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო გაყალბების თაობაზე. ბატონი გიგის თქმით, მითითებულმა ქალბატონმა ინფორმაცია მიაწოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, რის შემდეგაც ეს ინფორმაცია გახდა საჯარო. ბატონი გიგი დაინტერესდა – ხომ არ მოჰყოლია რეაგირება აღნიშნული ფაქტს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ამავე საკითხს შეეხო ქალბატონი ლელა ხათრიძეც („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED)) და აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაცია დაინტერესდა ამ ფაქტით. ქალბატონი იზა ჩირგაძის სურვილის გათვალისწინებით, მას უნდა გასაუბრებოდნენ, მაგრამ ორი დღეა, ქალბატონს ტელეფონი გამორთული აქვს და ვერ უკავშირდებიან, არც თავად გამოდის კონტაქტზე. როგორც ქალბატონმა ლელამ განაცხადა, ქალბატონ იზას თავად უნდოდა, ესაუბრა ამ საკითხზე მათთან, მაგრამ მასზე შესაძლო ზეწოლის შემდგომ აღარავისთან სურს საუბარი. ქალბატონი ლელას თქმით, საკითხი მეტად მგრძნობიარეა და ნამდვილად საჭიროებს სამართალდამცავი ორგანოების თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან შესაბამის რეაგირებას.

როგორც ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა აღნიშნა, საკითხი მართლაც საგულისხმოა და მომდევნო სხდომისთვის დღის წესრიგში იქნება შეტანილი. ამასთან, მან თხოვნით მიმართა კომისიის წევრ უწყებებს, შემდგომი სხდომისთვის წარმოედგინათ ინფორმაცია აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

ცესკო-ს წარმომადგენელმა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ გახმიანებულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ამ ეტაპისთვის დეტალებზე ინფორმაციას არ ფლობდნენ, გაარკვევენ და მომდევნო სხდომაზე მოაწვდიან კომისიას.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ცესკო-ს წარმომამდგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნა, რომ ცესკო შედეგებს მომავალი კვირის ბოლოსთვის შეაჯამებს, მანამდე კი, კანონმდებლობის თანახმად, უწყებათაშორისი კომისია აგრძელებს მუშაობას.

დასასრულ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 17:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: